ოქმი:ო31. 3125050001
თარიღი:19/02/2025

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

14. 02. 2025 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსი ია ჩხაიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს. ასევე, აღნიშნა, რომ მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა

და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსის, მაია აფხაზავას ნაცვლად, რომელიც სხდომას ვერ ესწრება ავადმყოფობის გამო, მე-4 საკითხს წარმოადგენს მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტის საბოლოო ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

4. ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

7.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის

პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

13.სხვადასხვა საკითხები.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 25 თებერვალი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მისი განმარტებით, ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ„ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს შესული ცვლილებით (დოკუმენტის ნომერი 165-I მს-XI მპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა და გარდაიქმნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად. შესაბამისად, ხსენებულმა კანონმა შეცვალა ზემოაღნიშნულ სუბიექტთა სამართლებრივი სტატუსი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო იძლევა რეკომენდაციას„ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებამ მოცემულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ზრდასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №17 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რის შემდეგაც გამოითქვა გარკვეული შენიშვნა.

კერძოდ, საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა 2025 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელი თანამდებობრივი სარგოები ექვემდებარება მართებულად დაკორექტირებას. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მისი განმარტებით, მიმდინარე წლის მარტის თვეში იგეგმება ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის“ დაქვემდებარებაში არსებული ხუთი ბაგა-ბაღი (აცანა, შუხუთი, ქალაქი, სუფსა და ნიგვზიანი) ავტორიზაციის გავლის პროცესი, მაგრამ ნიგვზიანის საბავშვო ბაღთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამის სტრუქტურაში გააგზავნა წერილი იმის თაობაზე, რომ მოხდეს გადავადება და ბაღის სრულად მოწესრიგების შემდეგ ჩაერთოს ავტორიზაციის პროცესში. დაწესებული სტანდარტებიდან და ავტორიზაციის პირობებიდან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული პროცესის დროს დაცული

იქნას ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N13 დადგენილებით დამტკიცებული წესი და მისი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა - დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლთან და ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის N76 დადგენილებით დამტკიცებულ დაწესებულების ავტორიზაციის გავლისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან/პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/ და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N13 დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებულ დანართში ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/ და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების“ შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

1. დანართის 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. პერსონალის პროფესიული სტანდარტის ცნება

პერსონალის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი) არის პროფესიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ერთობლიობა, რომელსაც უნდა ფლობდეს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) პერსონალი.“

2. დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) ,,თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საგანმანათლებლო პერსონალი - პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას. ამ მიმართულებით ძირითადი პერსონალი არის აღმზრდელი, (შემდგომში აღმზრდელ - პედაგოგი) რომლის პროფესიულ სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამასთან, საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, დაწესებულებაში შესაძლებელია არსებობდეს საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი და ბავშვთა ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი;“

ბ) ,,ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ი) საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი - პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული მიმართულებების სპეციფიკურ, სიღრმისეულ განხორციელებას ან მთლიანობაში უწევენ დახმარებას საგანმანათლებლო პროცესს (მაგალითად: მუსიკის მასწავლებელი, აღმზრდელის თანაშემწე.);“

გ) ,,კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,კ) ბავშვთა ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი - პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში ბავშვთა ჩართულობის ხელშეწყობას (მაგ.: სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი, და ა.შ.); „

დ) ,,პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, პ) მატერიალური რესურსის გამართულობაზე პასუხისმგებელი პერსონალი - პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამართულად ფუნქციონირებას“

ე) „ს“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ ქვეპუნქტი:

,,ტ) თემი - ერთ ტერიტორიაზე დასახლებულ ადამიანთა ერთობა, რომელთაც საერთო ინტერესები და იდენტიფიკაცია გააჩნიათ;“

3. დანართის მე-5 მუხლის 1.2-ის პუნქტის:

ა) ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, ა) აღმზრდელი (შემდგომში აღმზრდელ-პედაგოგი);“

ბ) ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი (აღმზრდელის თანაშემწე და მუსიკის მასწავლებელი);“

4. დანართის მე-6 მუხლის:

ა) 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება ადრეული და სკოლამდელი განათლების ან ადრეული

ინტერვენციის სფეროში.“

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. საგანმანათლებლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს უნდა შეეძლოს:

ა) დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება-დაგეგმვა, წარმართვა, შეფასება;

ბ) გუნდური მუშაობა;

გ) ზრდასრულთა სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება;

დ) ბავშვების მცირე და დიდ ჯგუფებთან მუშაობა;

ე) კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმების გამოყენება;

ვ) თანამედროვე ტექნიკური საშუალებების და ხელსაწყოების გამოყენება;

ზ) დარგში არსებული სიახლეების მოძიება, გაცნობა და გაზიარება;

თ) დაწესებულებაში გამოყენებული კურიკულუმის გამოყენება და შეფასება;

ი) ადამიანური რესურსის მართვა.“

5. დანართის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) დაწესებულების მისიისა და მიზნების განსაზღვრა დაწესებულების სხვა პერსონალთან თანამშრომლობის გზით;“

6. დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი **9.** ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალის პროფესიული სტანდარტები

1. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია - უმაღლესი აკადემიური ან პროფესიული განათლება ადამიანური რესურსების მართვის ან მენეჯმენტის დარგში;

2. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პერსონალმა უნდა იცოდეს:

a) ადამიანური რესურსის მართვის პრინციპები;

b) თანამშრომელთა მოტივაციის ფორმები;

g) თანამშრომლური და გუნდური სამუშაო გარემოს შექმნის პრინციპები;

დ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“:

ვ) დაწესებულების თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობები;

ზ) კომპიუტერისა და მისი ძირითადი პროგრამების მოხმარება;

თ) აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, პერსონალის პროფესიული სტანდარტი.

3. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს უნდა შეეძლოს:

ა) თანამშრომელთა მოტივაციაზე ზრუნვა;

ბ) თანამშრომელთა საჭიროებების დადგენა;

გ) საკადრო ცვლილებების განხორციელება;

დ) თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

ე) პერსონალისა და ბავშვების პირადი საქმეების წარმოება;

ვ) პერსონალის სამსახურებრივი მოვალეობების დადგენა.“

7. დანართის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 10. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტები

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, შემდგომში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.''

8. დანართის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალის (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი ან პროფესიული განათლება - განათლების მეცნიერებების, მასწავლებლის განათლების ან სხვა მონათესავე მეცნიერებების დარგში.

ბ) ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.“

9. დანართის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნაა - უმაღლესი აკადემიური ან პროფესიული განათლება სამედიცინო დარგში;“

10. დანართის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. კვების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პერსონალმა უნდა იცოდეს:

ა) სამზარეულოს ჰიგიენის ნორმები;

ბ) ჯანსაღი კვების ნორმები;
გ) ბავშვთა სწორი კვების რაციონი;
დ) ნედლეულის გახარჯვის ნორმები;
ე) პროდუქტების შენახვის წესები და ვადები;
ვ) ბავშვთა საკვების მომზადების ძირითადი წესები, პროდუქტის კალორაჟი და კვებითი ღირებულებები, საკვებში ვიტამინების დაცვის ტექნოლოგიები.
ზ) კვების ტექნიკური რეგლამენტი.“

11. დანართის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნაა - პროფესიული და არანაკლებ სრული ზოგადი განათლება;“

12. დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 24-ე მუხლი:

,,მუხლი 24. გარდამავალი დებულება

პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების მიმართ ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაეთვალოთ პირებს, რომლებიც ამ დადგენილების ამოქმედების მომენტში მუშაობდა დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პოზიციაზე.“

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** განცხადებით, ნიგვზიანის საბავშვო ბაღი როგორ გაივლის ავტორიზაციას, როდესაც არ არის მოწესრიგებული წყლის საკითხი. მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსის განმარტებით, აღნიშნული საკითხის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერმა წერილობით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს. მიდის საუბარი, რომ პრობლემა უნდა მოგვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიგვზიანის საბავშვო ბაღი ავტორიზაციას ვერ გაივლის, მაგრამ, როგორც ცნობილია, 2028 წლის ჩათვლით, ყველა ბაღმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, თუ რა ხდება იმ ბაღებთან მიმართებაში, რომლებიც არ ექვემდებარებიან სტანდარტებს. მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსის განმარტებით, ყველა ბაღი უნდა მოვიდეს სტანდარტის შესაბამისობაში. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია, რადგან ძალიან დიდი სამუშაო იქნა გაწეული, რაც იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ ამ გამოწვევას მუნიციპალიტეტი ღირსეულად გაართმევს თავს.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად

განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში. 4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის -კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსულია 2024 წლის 10 დეკემბრის N 2024/7133 წერილი, რომლის თანახმადაც საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის 24 ოქტომბერს N2/5/1545 გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიიჩნია სატრანსპორტო საშუალებების პარკირების შესაბამისი საცნობი ნიშნის გაცემა მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ან ქვედა კიდურის ამპუტაციის მქონე პირების მიმართ. სახალხო დამცველის რეკომენდაციაა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში აისახოს შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ:

1) მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო – სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველშიც „ქმედუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი. “

2) მე-16 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული

ცნობა სახელმწიფო გასაცემელების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, დაბადების მოწმობის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.“

3) მე-16 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა №IV- 50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველშიც „ქმედუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, თუ რა ხდება საგზაო ნიშნებთან დაკავშირებით, კერძოდ, ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, დაგეგმილია თუ არა შშმ პირთათვის საპარკინგე ადგილის გამოყოფა, რაზეც მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს საპარკინგე ტერიტორიებზე გამოიყოს, მინიმუმ ერთი ადგილი შშმ პირთათვის, სადაც დაიდგმება საცნობი ნიშანი ან აბრა. ასევე, შესაბამისი საგზაო ნიშანი განთავსდება შშმ პირის სატრანსპორტო საშუალებაზეც. ამასთან, დასჯადი იქნება ქმედება, როცა არა შშმ პირი დაიკავებს აღნიშნულ ადგილს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** მიესალმა სახალხო დამცველის ინიციატივას და აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ, ორი წლის წინ, საკრებულოში ჰქონდათ საუბარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას,საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიი სადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. კერძოდ,

მუხლი 1

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 - ჯერ; გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5 - ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3 -ჯერ.

მუხლი 2

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3_1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის

ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

მუხლი 3

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი.

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

მუხლი 4.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) – 20.00 ლარი/ჰა;

საძოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული) – 16.00 ლარი/ჰა;

სახნავი (მათ შორი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) – 73.00 ლარი/ჰა;

საკარმიდამო – 73.00 ლარი/ჰა;

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისთვის:

ა) სათიბი – 20.00 ლარი/ჰა;

ბ) საძოვარი– 16.00 ლარი/ჰა;

გ) სახნავი – 20.00 ლარი/ჰა;

მუხლი 5.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით“.

მუხლი 6

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

ქ. ლანჩხუთი - 1,0 (ტერიტორიული კოეფიციენტი), 0,24 - საბაზისო განაკვეთი 1მ^2-ზე (ლარებში), 0,24 - წლიური განაკვეთი 1მ^2-ზე (ლარებში);

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - 0,9 (ტერიტორიული კოეფიციენტი), 0,24 - საბაზისო განაკვეთი 1მ^2-ზე (ლარებში), 0,216 - წლიური განაკვეთი 1მ^2-ზე (ლარებში);

მუხლი 7

1. ქონების გადასახადისაგან განთავისუფლდეს:

ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ-ს.

ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.

3. ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N 784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე ნაწილის „ე " პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტები.

ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის27 თებერვლის №3 დადგენილება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

CN =IMGX ITL X CX K, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;

3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.

4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: CN =0,38 X1 X 0,24 X 100=9,12.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2.მომზსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან აღნიშნა, რომ საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას, მერიის აუქციონატორის მიერ, 27.15.41.394 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული პრივატიზებული უძრავი ქონება და შემდგომში ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ (ს/ნ 433649322) საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ნიგვზიანის საბავშვო ბაღის დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მეორადი მასალა. ასევე მიზანშეწონილია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 4 სექტემბრის N006074323 დასკვნით შეფასებული - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, სოფელ სუფსაში მდებარე 1196 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 207.92 კვ.მ -ი N1 შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.15.50.018) – (საწყის საპრივატიზებო საფასური - 4158 ლარი.) შემდგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 40602973 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) 1570718 ლარი. აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი-1216294 ლარი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 271607 ლარი; მათ შორის, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 182138 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 5322353 ლარი; მათ შორის - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 1638198 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 158000 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 7958292 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 878042 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 1196787 ლარი. მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 348336 ლარი; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 64625 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 5589861 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვრის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 2867728 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) 1434566 ლარი. აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი - 1192194 ლარი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 218508 ლარი; მათ შორის, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 147168 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1433156 ლარი; მათ შორის - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 1192359 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 2665736 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 720198 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 552408 ლარი. მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 307868 ლარი; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 4376 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 1295303 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 16 იანვრის N53 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე 24 იანვრის N146 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების დაფინანსებაზე გამოიყო 1157811 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის N746 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 62936 ლარი და 76 თეთრი ასახულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთში და უნდა მიიმართოს საქმიანი ეზოს მოწყობის სამუშაოების დაფინანსებაზე.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, 55936 ლარი ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთში და უნდა მიიმართოს მოქალაქეთა ჩართულობით მოთხოვნილი

სამუშაოების (ტექნიკის დაქირავება) დაფინანსებაზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით და მათში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების“ დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან 506868 ლარი და 25 თეთრი ასახულია მუნიციპალიტეტის ნაშთში და უნდა მიიმართოს ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფ:ჭინათში) წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, 31366 ლარი და 87 თეთრი და 475501 ლარი და 38 თეთრი - მუნიციპალიტეტში დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რის შემდეგაც გამოითქვა გარკვეული შენიშვნა. კერძოდ, საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა 2025 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელი თანამდებობრივი სარგოები ექვემდებარება მართებულად დაკორექტირებას. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში. 2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ პროექტის მიხედვით ცვლილება შედის დადგენილების მე -4 მუხლის მე -7 პუნქტში და მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 17 წლამდე ასაკის მოსწავლეებს, შეღავათიანი მგზავრობის ბარათის მისაღებად შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად აღარ ექნებათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების

პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ წინამდებარე წესი განსაზღვრავს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების, საურავის დარიცხვისა და გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრულია ბიუროს სხდომების ყოველი თვის 15 რიცხვში ჩატარება, მაგრამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში რამდენიმე სხდომა დაემთხვა მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრებს, რომელიც იმართება ყოველ პარასკევს. აქედან გამომდინარე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის აზრით, სასურველი იქნება, თუ შეიცვლება ბიუროს სხდომის გამართვის თარიღი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ნიგოითის მკვიდრის, გია ფირცხალაიშვილის თხოვნაა, მის ქუჩას ეწოდოს, გარდაცვლილი შვილის, გიორგი ფირცხალაიშვილის სახელი. ეს პიროვნება არის მეცენატი, უანგაროდ ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას. ამასთან, სოფელში ააშენა ეკლესია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქში ახალრეაბილიტირებული სკვერის წინ, კაფეს მიმდებარედ, დაახლოებით ერთი თვეა, სატვირთო მანქანით იყიდება თივა, რის შედეგადაც იყრება გამხმარი ბალახი და ანაგვიანებს იქაურობას. მისი თხოვნაა, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურმა მიაქციოს აღნიშნულ ფაქტს ყურადღება, რადგან იქმნება გარკვეული უხერხული სიტუაცია.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი